ეთიკის კოდექსი

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებები *4*

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი **4**

მუხლი 2. ეთიკის სტანდარტების დაცვის ვალდებულება **4**

მუხლი 3. ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოების პრინციპები **4**

თავი II. ეთიკის ნორმები და არაეთიკური ქცევა *5*

მუხლი 4. კანონმდებლობის პატივისცემის ვალდებულება **5**

მუხლი 5. ფილიალის მისიის შესაბამისად საქმიანობის ვალდებულება და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა **6**

მუხლი 6. აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვის ვალდებულება **6**

მუხლი 7. სხვისი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის ვალდებულება **7**

მუხლი 8. ეთიკის კოდექსის დარღვევის სხვა სახეები **7**

მუხლი 9. დამატებითი ვალდებულებები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ... **8**

თავი III. ადმინისტრაციული წარმოების წესები *9*

მუხლი 10. დისციპლინური წარმოების დაწყება **9**

მუხლი 11. ეთიკის კომისიის შექმნა **10**

მუხლი 12. ეთიკის კომისიის უფლებამოსილება **10**

მუხლი 13. დისციპლინური წარმოების მიმდინარეობა **11**

მუხლი 14. ზეპირი მოსმენა **12**

მუხლი 15. ზეპირი მოსმენის ჩატარების წესი **12**

მუხლი 16. ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი **13**

მუხლი 17. დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის უფლებები **13**

მუხლი 18. ეთიკის კომისიის დასკვნა **13**

მუხლი 19. დისციპლინური წარმოების შედეგები **14**

მუხლი 20. დისციპლინური წარმოების ვადები **15**

მუხლი 21. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება **15**

მუხლი 22. დისციპლინური წარმოების შეჩერება და შეწყვეტა **16**

მუხლი 23. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების ვადა **16**

თავი IV. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები ეთიკის კოდექსთან შეუსაბამო ქცევისთვის *16*

მუხლი 24. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები ეთიკის კოდექსის

დარღვევისათვის..... 16

თავი V. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის თანამშრომლის ან ხელშეკრულების საფუძველზე დანიშნული სხვა პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები ეთიკის კოდექსთან შეუსაბამო ქცევისთვის..... 18

მუხლი 25. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის თანამშრომლის ან ხელშეკრულების საფუძველზე დანიშნული სხვა პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის..... 18

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. ეს კოდექსი ადგენს ეთიკის სტანდარტებს, პრინციპებსა და წესებს ვებსტერ უნივერსიტეტი, ინკ.-ის საქართველოს ფილიალის (შემდგომში - ფილიალი) ყველა თანამშრომლის და სტუდენტისათვის.
2. ამ კოდექსის მიზანია ვებსტერ უნივერსიტეტის რეპუტაციის შესაბამისი მაღალი პროფესული და ეთიკური სტანდარტების დაცვა ფილიალის სასწავლო და კვლევით პროცესში.
3. ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ვებსტერ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკას.

მუხლი 2. ეთიკის სტანდარტების დაცვის ვალდებულება

1. ფილიალის ყველა თანამშრომელი, მათ შორის, ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დროებით ან ხაგრძლივი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი და თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი ვალდებულია მოქმედებდეს მაღალი პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვით.
2. ამ კოდექსით დადგენილი ეთიკის სტანდარტები, პრინციპები და წესები არ შეიძლება იქცეს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული აკადემიურ თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლად.

მუხლი 3. ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოების პრინციპები

1. ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოების მიზანია

ეთიკის კოდექსის დარღვევის ფაქტის სწრაფად და სრულად გამოვლენა და გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა.
2. ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოება ემყარება კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებს. არავის არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ეთიკის კოდექსით დადგენილი საფუძვლისა და წესის დაცვის გარეშე.
3. არავის არ შეიძლება განმეორებით დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა ერთი და იმავე გადაცდომისათვის.
4. ფილიალში დასაქმებული პირი არ შეიძლება მონაწილეობდეს დისციპლინურ წარმოებაში, თუ მას აქვს პირადი ინტერესი ან/და თუ არსებობს სხვა გარემოება, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქმის გადაწყვეტაზე.
5. ამ კოდექისთ გათვალისწინებული დისციპლინური წარმოება მიმდინარეობს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით.
6. პირი არ ჩაითვლება დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირად მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

თავი II. ეთიკის ნორმები და არაეთიკური ქცევა

მუხლი 4. კანონმდებლობის პატივისცემის ვალდებულება

1. ფილიალის ყველა თანამშრომელი და სტუდენტი ვალდებულია იცნობდეს ფილიალის საქმიანობასთან დაკავშირებულ იმ კანონმდებლობას, სამართლებრივ აქტებსა და რეგულირებებს, რომელიც შინაარსობრივად ეხება მის პოზიციას, საქმიანობის სფეროს, უფლებებსა და მოვალეობებს.
2. ფილიალის ყველა თანამშრომელი და სტუდენტი ვალდებულია კანონმდებლობა და ფილიალში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტები დაიცვას არა მხოლოდ

ფორმალურად, არამედ მისი ნამდვილი მიზნის შესაბამისად.

3. ფილიალი იღებს ყველა ზომას, რათა შესაძლებელი გახდეს თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის შესაბამისი რეგულაციების ხელმისაწვდომობა და გაცნობა.

4. ფილიალი აკონტროლებს ამ კოდექსით დადგენილი ეთიკის სტანდარტების, პრინციპებისა და წესების რეალურ იმპლემენტაციას.

5. ამ კოდექსით დადგენილი ეთიკის სტანდარტების, პრინციპებისა და წესების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დაცვით.

მუხლი 5. ფილიალის მისიის შესაბამისად საქმიანობის ვალდებულება და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა

1. ფილიალის ყველა თანამშრომელი და სტუდენტი ვალდებულია თავისი პროფესიული ვალდებულეები შეასრულოს ფილიალის მისიის შესაბამისად.

2. ფილიალის ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს ეკისრება ვალდებულება, თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი თავის პირად ინტერესებსა და ოფიციალურ ვალდებულებებს შორის და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ შეატყობინოს ფილიალის შესაბამისი თანამდებობის პირს.

მუხლი 6. აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვის ვალდებულება

1. ფილიალის ყველა თანამშრომელი და სტუდენტი ვალდებულია დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტი.

2. დაუშვებელია პლაგიატი, ფაქტების ფალსიფიკაცია, გაყალბება, ადრესატის შეცდომაში შეყვანა.

3. ფილიალში მიმდინარე ყველა კვლევა და სტუდენტური ნაშრომი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ წესებს, მათ შორის, კვლევის დამფინანსებელი სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციების წესებსა და მოთხოვნებს.

4. საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში

სტუდენტების მიერ შედგენილი ნაშრომები, მათ შორის, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები, პლაგიატის შემოწმების მიზნით იტვირთება Turnitin პროგრამაში.

5. Turnitin-ის პროგრამაში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შედგენილი ნაშრომებისთვის, მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომისთვის, პლაგიატი დგინდება, თუ მაჩვენებელი აღემატება 23%-ს, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შედგენილი ნაშრომებისთვის, მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომისთვის პლაგიატი დგინდება, თუ მაჩვენებელი აღემატება 17%-ს.

მუხლი 7. სხვისი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის ვალდებულება

1. ფილიალის ყველა თანამშრომელი და სტუდენტი ვალდებულია პატივი სცეს სხვის უფლებებსა და თავისუფლებებს.

2. დაუშვებელია დისკრიმინაციული მოპყრობა რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

მუხლი 8. ეთიკის კოდექსის დარღვევის სხვა სახეები

სასწავლო და კვლევის პროცესში მონაწილე ყველა პირისთვის არაეთიკურ ქცევად და ეთიკის კოდექსის დარღვევად ითვლება შემდეგი ქმედება:

ა) სასწავლო პროცესისთვის ხელის შეშლა, მათ შორის, აუდიტორიაში მობილური ტელეფონით სარგებლობა, როცა მისი გამოყენება არ ხდება აკადემიური ან მოწვეული პერსონალის თანხმობით და სასწავლო და კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე;

ბ) ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების ფილიალის ტერიტორიაზე შეტანა, გამოყენება ან გავრცელება;

გ) ალკოჰოლური სასმელის ფილიალის ტერიტორიაზე შეტანა, გამოყენება ან გავრცელება;

დ) ფილიალის ტერიტორიაზე თამბაქოს ან ელექტრო სიგარეტის მოწევა;

ე) ფილიალის ტერიტორიაზე აზარტული თამაში, მისი პროპაგანდა ან წახალისება;

ვ) ფილიალის ტერიტორიის დანაგვიანება;

ზ) ფილიალის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დაზიანება;

თ) ფილიალის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი, ცივი იარაღის, ფეთქებადი, აალებადი ნივთიერების შემოტანა ან/და გავრცელება;

ი) ფილიალის ტერიტორიაზე პოლიტიკური, რელიგიური აგიტაცია ან პროპაგანდა;

კ) ნებისმიერი ქმედება, რომელიც განზრახ ხელს უშლის მიმდინარე სასწავლო პროცესს, ეწინააღმედება ფილიალის მისიას ან აზიანებს მის რეპუტაციას.

მუხლი 9. დამატებითი ვალდებულებები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის

ფილიალის აკადემიურ და მოწვეული პერსონალს ეკისრება ვალდებულება, ეთიკის კოდექსით დადგენილ სხვა წესებთან ერთად, დაიცვას შემდეგი მოთხოვნები:

ა) არასაპატიო მიზეზით არ დააგვიანოს ან არ გააცდინოს ლექციები და სემინარები ან სხვა სახის სასწავლო ღონისძიებები, პრეზენტაციები, კონფერენციები, ხოლო საპატიო მიზეზის არსებობისას წერილობით გააფრთხილოს ადმინისტრაცია;

ბ) დაიცვას სტუდენტების, კოლეგების, სასწავლო და კვლევით პროცესში ჩართული პირების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია;

გ) მაქსიმალურად ეფექტიანად, მხოლოდ სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად გამოიყენოს სწავლებისთვის განკუთვნილი დრო, ვებსტერის ფილიალის რესურსი;

დ) გაუფრთხილდეს ფილიალის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს და დაზიანების შემთხვევაში აცნობოს ადმინისტრაციას;

ე) სტუდენტს ან კოლეგებს არ მიაყენოს სიტყვიერი ან ფიზიკური შეურცხყოფა;

ვ) სასწავლო და კვლევის პროცესში, მათ შორის, შეფასების დროს, დაუსაბუთებლად არ მიანიჭოს რომელიმე სტუდენტს უპირატესობა ან დისკრიმინაციული ნიშნით არ შელახოს სტუდენტის უფლებები;

ზ) სტუდენტებისა და კოლეგების თანდასწრებით არ შეაფასოს კოლეგები უარყოფითად;

თ) სტუდენტისგან ან სხვა პირისგან არ მიიღოს საჩუქარი ან რაიმე სხვა სახის სარგებელი სტუდენტისთვის შეფასების დაწერის ან მისთვის რაიმე უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ;

ი) სტუდენტების შეფასებისას უზრუნველყოს პლაგიატის კონტროლი და პლაგიატის აღმოჩენისას ან შესაბამისი ეჭვის შემთხვევაში, მიმართოს ამ კოდექსით დადგენილ პროცედურებს.

თავი III. ადმინისტრაციული წარმოების წესები

მუხლი 10. დისციპლინური წარმოების დაწყება

1. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლებია:

ა) ფილიალის თანამშრომლის წერილობითი განცხადება დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე;

ბ) სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის თაობაზე დასაბუთებული ეჭვის არსებობა;

გ) განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების გარე ან/და შიდა მონიტორინგის შედეგები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას რექტორი გამოსცემს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ ბრძანებას, რომელშიც აღინიშნება დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის ვინაობა, დისციპლინური წარმოების ვადა და გარემოებები, რომლებიც

საფუძვლად დაედო დისციპლინური წარმოების დაწყებას.

3. დისციპლინური წარმოება იწყება დისციპლინური გადაცდომის გამოვლენიდან 1 თვის ვადაში.

მუხლი 11. ეთიკის კომისიის შექმნა

1. დისციპლინურ წარმოებას წარმართავს რექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ეთიკის კომისია.

2. ეთიკის კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შეყვანილ იქნეს ფილიალის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, აკადემიური საბჭოს წევრი, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების წარმომადგენლები, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, აკადემიური ან მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი.

3. ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს ნიშნავს რექტორი. ეთიკის კომისიის წევრთა მაქსიმალური რაოდენობა არ არის შეზღუდული, მაგრამ არ უნდა იყოს 3 წევრზე ნაკლები. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 12. ეთიკის კომისიის უფლებამოსილება

1.ეთიკის კომისია უფლებამოსილია:

ა) შეაგროვოს და შეისწავლოს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ ბრძანებაში აღნიშნული გარემოებებისა და მასთან დაკავშირებული ფაქტების შესახებ ინფორმაცია;

ბ) მიიღოს და გააანალიზოს წერილობითი ან/და ზეპირი ახსნა-განმარტებები;

გ) მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადასტუროს დისციპლინური გადაცდომის არსებობა ან არარსებობა;

დ) განსაზღვროს დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა;

ე) შეასრულოს ამ კოდექსით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2. ეთიკის კომისია თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით, ამ კოდექსით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 13. დისციპლინური წარმოების მიმდინარეობა

1. დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია ეგზავნება დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენ პირს დისციპლინური წარმოების დაწყებიდან ან პირის იდენტიფიცირებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეტყობინებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს დისციპლინური წარმოების განხორციელების ინტერესებს.

2. დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენ პირს განესაზღვეება წერილობითი ახსნა-განმარტების წარდგენის ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 3 სამუშაო დღეზე ნაკლები.

3. თუ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის მიერ წარდგენილი წერილობითი ახსნა-განმარტება არასრულია ან დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენაა აუცილებელი, მას ეცნობება ამის თაობაზე და განესაზღვრება დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 2 სამუშაო დღეზე ნაკლები.

4. ეთიკის კომისია ვალდებულია დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენ პირს განუმარტოს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს მას დისციპლინური წარმოების წესი და საქმის მასალები.

5. ეთიკის კომისია ვალდებულია დისციპლინურ წარმოებაში ჩართოს ის პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომის ფაქტის შესახებ და შეუძლია წერილობით ან ზეპირად წარადგინოს ახსნა-განმარტება.

მუხლი 14. ზეპირი მოსმენა

1. ეთიკის კომისია ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი მოსმენა დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის მონაწილეობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირი უარს აცხადებს ზეპირ მოსმენაში მონაწილეობაზე.
2. დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეცნობოთ ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.
3. მოსაწვევში მიეთითება ეთიკის კომისიის უფლებამოსილება – საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშეც.
4. ზეპირი მოსმენა, როგორც წესი, არ უნდა გრძელდებოდეს ერთ სამუშაო დღეზე მეტს.

მუხლი 15. ზეპირი მოსმენის ჩატარების წესი

1. სხდომას ხსნის და თავმჯდომარეობს ეთიკის კომისიის უფლებამოსილი თანამდებობის პირი.
2. ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ეთიკის კომისიის და ფილიალის უფლებამოსილ პირს, დაინტერესებულ მხარეს, განხილვაზე მოწვეულ პირს.
3. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე და დამსწრე დაინტერესებულ მხარეს მისცეს საქმესთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება.
4. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით.
5. სხდომაზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე. იგი უფლებამოსილია გააფრთხილოს წესრიგის დამრღვევი პირი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – გააძევოს დარბაზიდან.

6. სხდომა შეიძლება გაგრძელდეს დარბაზიდან გაძევებული პირის მონაწილეობის გარეშე.

მუხლი 16. ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმი

1. სხდომის დროს იწარმოება ოქმი.
2. სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:
ა) საქმის დასახელება, რომლის თაობაზედაც ეწყობა მოსმენა;
ბ) ეთიკის კომისიის შემადგენლობა;
გ) განხილვის დრო და ადგილი;
დ) სხდომის თავმჯდომარის, ზეპირ მოსმენაში მონაწილე დაინტერესებული მხარის, ექსპერტის, მოწმის ვინაობა;
ე) ზეპირი მოსმენის საგანი და საქმის მოკლე მიმოხილვა;
ვ) არსებობის შემთხვევაში, მოწმეთა ჩვენებების მოკლე აღწერა.
3. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 17. დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის უფლებები

დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენ პირს უფლება აქვს:
ა) ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით;
ბ) მოითხოვოს დისციპლინური წარმოების საქმის მასალების გაცნობა;
გ) წარადგინოს წერილობითი ან/და ზეპირი ახსნა-განმარტება;
დ) წარადგინოს მტკიცებულება;
ე) გაასაჩივროს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 18. ეთიკის კომისიის დასკვნა

1. ეთიკის კომისია დისციპლინური წარმოების დროს მოპოვებული მასალების

ანალიზის შედეგად ადგენს დასკვნას:

ა) დისციპლინური გადაცდომის არსებობისა და პირისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომის შეფარდების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შეუძლებლობის შესახებ;

ბ) დისციპლინური გადაცდომის არარსებობის შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დასკვნაში უნდა აღინიშნოს:

ა) დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის სახელი, გვარი და სტატუსი (სტუდენტი, ფილიალის თანამშრომელი);

ბ) ეთიკის კოდექსის ნორმა, რომელიც დაარღვია დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენმა პირმა;

გ) დისციპლინური გადაცდომის აღწერა, ჩადენის დრო და ადგილი;

დ) ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინურ გადაცდომასთან დაკავშირებით მოპოვებული სხვა ინფორმაცია;

ე) პირისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომის შეფარდების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შეუძლებლობის შესაბამისი დასაბუთება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დასკვნაში უნდა აღინიშნოს ეთიკის კომისიის მიერ მოპოვებული ინფორმაცია და დისციპლინური გადაცდომის არარსებობის შესაბამისი დასაბუთება.

მუხლი 19. დისციპლინური წარმოების შედეგები

1. ეთიკის კომისიის დასკვნა ეგზავნება დისციპლინური გადაცდომის ჩამდენ პირს და რექტორს.

2. რექტორი ეთიკის კომისიის დასკვნის მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) პირისთვის დასკვნით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების თაობაზე;

ბ) ეთიკის კომისიისთვის დასკვნის დასაბუთებული შენიშვნებით დაბრუნების თაობაზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტი უნდა გაფორმდეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით სამართლებრივი აქტი საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. თუ დისციპლინური წარმოების შედეგად არ დადასტურდა დისციპლინური გადაცდომის არსებობა, რექტორი წყვეტს დისციპლინურ წარმოებას.

მუხლი 20. დისციპლინური წარმოების ვადები

1. დისციპლინური წარმოების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.

2. თუ დისციპლინური გადაცდომისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია 1 თვეზე მეტი ვადა, რექტორი 1-თვიანი ვადის გასვლამდე 10 სამუშაო დღით ადრე იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების ვადის დამატებით არაუმეტეს ერთი თვით გაგრძელების თაობაზე.

მუხლი 21. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების მიუხედავად, პირი ვალდებულია აანაზღაუროს ის მატერიალური ზიანი, რომელიც დისციპლინური გადაცდომის შედეგად მიადგა ფილიალს, თუ ეს გადაცდომა მან განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიდინა.

მუხლი 22. დისციპლინური წარმოების შეჩერება და შეწყვეტა

1. დისციპლინური წარმოება ჩერდება, თუ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირის მიმართ იმავე ქმედების გამო დაწყებულია სისხლის სამართლის საქმის ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება.
2. სასამართლოს მიერ შესაბამის სისხლის სამართლის საქმეზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა არ გამორიცხავს დისციპლინური გადაცდომის ფაქტის არსებობის გამო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესაძლებლობას.
3. დისციპლინური წარმოება წყდება, თუ აღარ არსებობს დისციპლინური წარმოების ობიექტური საფუძველი, რის შესახებაც გამოიცემა რექტორის ბრძანება.

მუხლი 23. დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების ვადა

ფილიალის თანამშრომელი დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონედ ითვლება მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდებიდან 1 წლის განმავლობაში, ხოლო სტუდენტი - მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში, სწავლის დასრულებამდე.

თავი IV. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები ეთიკის კოდექსთან შეუსაბამო ქცევისთვის

მუხლი 24. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის

1. სტუდენტის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის ფილიალი უფლებამოსილია გამოიყენოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

ა) წერილობითი გაფრთხილება;

ბ) სასწავლო კურსში მიღწეული შედეგების გაუქმება;

გ) ფილიალის მიერ დაწესებული ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლების შეჩერება ან შეწყვეტა;

დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება დასაშვებია ეთიკის კოდექსის მსუბუქი დარღვევის შემთხვევაში.

3. აკადემიური არაკეთილსინდისიერების, მათ შორის, პლაგიატის დადასტურების ან პლაგიატის მცდელობის შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზომა და, გადაცდომის სიმძიმის გათვალისწინებით, ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზომასთან ერთად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომაც.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი ეთიკის ნორმების მძიმე დარღვევის შემთხვევაში.

5. ეთიკის ნორმების დარღვევა ითვლება მძიმედ, თუ:

ა) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა ფილიალის რეპუტაციას;

ბ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა ფილიალს;

გ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა ფილიალის სხვა სტუდენტს ან თანამშრომელს;

დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონე სტუდენტმა ჩაიდინა ახალი დისციპლინური გადაცდომა.

თავი V. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის თანამშრომლის ან ხელშეკრულების საფუძველზე დანიშნული სხვა პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები ეთიკის კოდექსთან შეუსაბამო ქცევისთვის

მუხლი 25. აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციის თანამშრომლის ან ხელშეკრულების საფუძველზე დანიშნული სხვა პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ან ფილიალის სხვა თანამშრომლის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის ფილიალი უფლებამოსილია გამოიყენოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

ა) სიტყვიერი გაფრთხილება;

ბ) წერილობითი გაფრთხილება;

გ) სამსახურიდან გათავისუფლება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება დასაშვებია ეთიკის კოდექსის მსუბუქი დარღვევის შემთხვევაში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა გამოიყენება იმ შემთხვევაში, პირმა ჩაიდინა ეთიკის კოდექსის მძიმე დარღვევა.

4. ეთიკის ნორმების დარღვევა ითვლება მძიმედ, თუ:

ა) დისციპლინურმა გადაცდომამ გამოიწვია დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის რეპუტაციის შელახვა, რაც გამორიცხავს ამ პირის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას;

ბ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა ფილიალის რეპუტაციას;

გ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა ფილიალს;

დ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა ფილიალის სტუდენტს ან სხვა თანამშრომელს;

ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონე პირმა ჩაიდინა ახალი დისციპლინური გადაცდომა.

5. რექტორი უფლებამოსილია დისციპლინური წარმოებისას დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩამდენი პირი ჩამოაშოროს სამსახურს.

Chapter I. General Provisions

Article 1. Scope and purpose of regulation

1. This Code establishes ethical standards, principles and rules for all employees and students of the Georgia branch of Webster University, Inc. (hereinafter - the branch).
2. The purpose of this code is to maintain high professional and ethical standards consistent with the reputation of Webster University in the teaching and research process of the branch.
3. This Code complies with the laws of Georgia and the educational policy of Webster University.

Article 2. Obligation to observe ethical standards

1. All branch employees, including administration, academic and invited staff, persons employed under temporary or permanent employment contracts and students of each educational program, are obliged to comply with high professional and ethical standards.
2. Ethics standards, principles and rules established by this code cannot be used as a basis for restricting academic freedom guaranteed by the Constitution of Georgia.

Article 3. Principles of disciplinary proceedings stipulated by the Code of Ethics

1. The purpose of the disciplinary proceedings provided for by the Code of Ethics is to quickly and fully reveal the violation of the Code of Ethics and determine the size of the proportionate disciplinary responsibility for the misconduct.
2. Administrative proceedings stipulated by the Code of Ethics are based on the principle of the rule of law. No one can be held responsible without observing the basis and regulations established by the Code of Ethics.

3. No one may repeatedly be subjected to disciplinary responsibility for the same misconduct.
4. A person employed in the branch may not participate in disciplinary proceedings if he has a personal interest and/or if there is another circumstance that may affect the resolution of the case.
5. Disciplinary proceedings provided for in this code are carried out in compliance with the principle of confidentiality.
6. A person shall not be considered a perpetrator of a disciplinary offence until the decision on the ratio of the size of disciplinary responsibility for him enters into legal force.

Chapter II. Ethics norms and unethical behavior

Article 4. Obligation to respect the legislation

1. All employees and students of the branch are obliged to be familiar with the legislation, legal acts and regulations related to the activities of the branch, which refer to their position, field of activity, rights and duties.
2. All employees and students of the branch are obliged to follow the legislation and internal legal acts in force in the branch not only formally but also in accordance with its true purpose.
3. The branch takes all measures to enable employees and students to access and familiarize themselves with the relevant regulations.
4. The branch monitors the implementation of this code's ethical standards, principles and rules.
5. Issues related to the implementation of ethical standards, principles and rules established by this code are considered in accordance with the relevant legal procedures.

Article 5. Obligation to operate in accordance with the mission of the branch and inadmissibility of conflict of interests

1. All employees and students of the branch are obliged to fulfil their professional obligations in accordance with the mission of the branch.

2. All employees and students of the branch should avoid conflicts of interest between their personal and official obligations and report conflicts of interest to the appropriate official of the branch.

Article 6. Obligation to observe the standard of academic integrity

1. All employees and students of the branch are obliged to follow the standard of academic integrity.
2. Plagiarism, falsification of facts, and misleading the addressee are prohibited.
3. All research and student work in the branch must comply with the established rules, including the rules and requirements of research-funding state or private organizations.
4. The works written by students within the framework of bachelor's and master's educational programs, including bachelor's and master's theses, will be uploaded to the Turnitin program for plagiarism checking.
5. In the Turnitin program, plagiarism is determined for papers written within the framework of an undergraduate educational program, including a bachelor's thesis, if the rate exceeds 23%. For papers compiled within the framework of a master's educational program, including a master's thesis, plagiarism is determined if the rate exceeds 17 %.

Article 7. Obligation to respect the rights and freedoms of others

1. All employees and students of the branch are obliged to respect the rights and freedoms of others.
2. Discriminatory treatment based on race, skin color, gender, origin, ethnic affiliation, language, religion, political or other views, social affiliation, property or rank, residence or other characteristics is not allowed.

Article 8. Other types of violations of the code of ethics

The following action is considered unethical behavior and a violation of the code of ethics for all persons participating in the educational and research process:

a) interfering with the educational process, including using a mobile phone in the auditorium when it is not used with the consent of the academic or guest staff and based on educational and research purposes;
b) introduction, use or distribution of narcotic and/or psychotropic substances in the territory of the branch;
c) introduction, use or distribution of alcoholic beverages in the territory of the branch;
d) smoking tobacco or electronic cigarettes in the territory of the branch;
e) gambling on the territory of the branch, its promotion or encouragement;
f) delay in branch territory;
g) damage to the material and technical means of the branch;
h) bringing and/or distributing firearms, cold weapons, explosive, flammable substances in the territory of the branch;
i) political, religious agitation or propaganda in the territory of the branch;
j) Any action that intentionally interferes with the ongoing learning process advances the branch's mission or damages its reputation.

Article 9. Additional obligations for academic and visiting staff

The academic and visiting staff of the branch are obliged, among other rules established by the Code of Ethics, to comply with the following requirements:
a) not to be late or miss lectures and seminars or other types of educational events, presentations, or conferences without good reason, and if there is a good reason, to warn the administration in writing;
b) protect confidential information about students, colleagues, and persons involved in the educational and research process;
c) to use teaching time and resources of the branch as efficiently as possible, only to achieve educational goals and objectives;
d) take care of the material and technical resources of the branch and inform the administration in case of damage;
e) not to verbally or physically insult students or colleagues;
f) during the educational and research process, including during the assessment, not unreasonably give preference to any student or violate the student's rights on a discriminatory basis;

g) not to evaluate colleagues negatively in the presence of students and colleagues;
h) not to accept a gift or any other type of benefit from the student or any other person in exchange for writing an evaluation for the student or giving him any advantage;
i) To ensure plagiarism control during student evaluation and to refer to the procedures established by this code when plagiarism is detected or suspected.

Chapter III. Rules of administrative proceedings

Article 10. Initiation of disciplinary proceedings

1. The grounds for starting disciplinary proceedings are:
a) a written statement of the branch employee regarding the initiation of disciplinary proceedings;
b) existence of reasonable suspicion regarding alleged disciplinary misconduct;
c) Results of external and/or internal education quality assurance and development monitoring.
2. In the presence of any of the grounds provided for in the first paragraph of this article, the rector shall issue an order on the initiation of disciplinary proceedings, in which the identity of the alleged perpetrator of the disciplinary offence, the term of the disciplinary proceedings and the circumstances that formed the basis for the initiation of the disciplinary proceedings shall be noted.
3. Disciplinary proceedings begin within one month after discovering disciplinary misconduct.

Article 11. Creation of Ethics Commission

1. Disciplinary proceedings are conducted by the ethics commission created based on the rector's order.
2. A representative of the branch's administration, a member of the academic council, representatives of the main educational units, a quality assurance manager, a person employed under an employment contract, a representative of academic or guest staff may be included in the ethics commission.
3. The rector appoints the chairman and secretary of the ethics commission. The maximum

number of members of the Ethics Commission is not limited but should be at least three members. In case of a split vote, the chairman's vote is decisive.

Article 12. Authority of Ethics Commission

1. The Ethics Commission is authorized to:
a) collect and study information on the circumstances and related facts mentioned in the order on the initiation of disciplinary proceedings;
b) to receive and analyze written and/or oral explanations;
c) confirm the presence or absence of disciplinary misconduct based on evidence;
d) to determine the measure of disciplinary responsibility commensurate with disciplinary misconduct;
e) to fulfil other obligations stipulated by this code and legislation.
2. The Ethics Commission is independent in exercising its powers and is guided only by the legislation of Georgia, this code and other legal acts.

Article 13. disciplinary proceedings

1. Information on the initiation of disciplinary proceedings is sent to the person alleged to have committed a disciplinary offence within five working days from the initiation of the disciplinary proceedings or the identification of the person unless the notification may interfere with the interests of carrying out the disciplinary proceedings.
2. The person alleged to have committed a disciplinary offence shall be given a deadline for submitting a written explanation, which shall not be less than three working days.
3. If the written explanation submitted by the alleged perpetrator of the disciplinary offence is incomplete or additional documentation is required, he/she will be notified, and a deadline for submitting additional documentation will be set, which should not be less than two working days.
4. The Ethics Commission must explain to the alleged perpetrator of disciplinary misconduct his rights and duties to introduce him to the rules of disciplinary proceedings and case materials.
5. The Ethics Commission must include in the disciplinary proceedings the person who has

information about disciplinary misconduct and can submit a written or oral explanation.

Article 14. Oral hearing

1. The Ethics Commission is obliged to conduct an oral hearing with the participation of the person who allegedly committed the disciplinary offence unless the person refuses to participate in the oral hearing.
2. Interested parties must be notified of the oral hearing at least seven days before its holding and invited to participate in the oral hearing.
3. The invitation specifies the authority of the ethics commission to consider and decide the case even without the participation of the interested party.
4. The oral hearing should typically last up to one working day.

Article 15. The procedure for conducting the oral hearing

1. The session is opened and presided over by an authorized official of the Ethics Commission.
2. The authorized person of the Ethics Commission and the branch, the interested party, and the person invited to the discussion have the right to participate in the oral hearing.
3. The session's chairman is obliged to ensure the examination of the circumstances essential to the case at the oral hearing and to give the attending interested party the right to express his opinion regarding the matter.
4. The interested party has the right to file a petition regarding the investigation of circumstances essential to the case.
5. The session's chairperson ensures the maintenance of order at the session. He has the right to warn the person violating the order and, in exceptional cases - to expel him from the hall.
6. The session can continue without the participation of the person expelled from the hall.

Article 16. Minutes of the oral hearing session

1. Minutes are made during the session.

2. The protocol of the session should indicate the following:
a) the name of the case on which the hearing is organized;
b) composition of ethics commission;
c) time and place of discussion;
d) the identity of the chairman of the session, the interested party participating in the oral hearing, the expert, and the witness;
e) the subject of the oral hearing and a brief overview of the case;
f) If available, a brief description of witness statements.
3. The chairman and secretary of the session sign the minutes of the session.

Article 17. Rights of the alleged perpetrator of disciplinary misconduct

A person alleged to have committed a disciplinary offence has the right to:
a) to use the help of a lawyer;
b) to request familiarization with the materials of the disciplinary proceedings;
c) submit a written and/or oral explanation;
d) submit evidence;
e) to appeal the decision on the ratio of the size of disciplinary responsibility according to the law.

Article 18. Conclusion of the Ethics Commission

1. As a result of the analysis of the materials obtained during the disciplinary proceedings, the Ethics Commission concludes:
a) about the existence of a disciplinary offence and the impossibility of applying the appropriate amount of disciplinary responsibility to a person or applying the amount of disciplinary responsibility;
b) on the absence of disciplinary misconduct.
2. In the conclusion provided by subparagraph "a" of the first paragraph of this article, it should be noted:
a) name, surname and status of the alleged perpetrator of the disciplinary offence (student,

branch employee);
b) the norm of the code of ethics, which the alleged perpetrator of disciplinary misconduct violated;
c) description of disciplinary misconduct, time and place of commission;
d) other information obtained by the Ethics Commission regarding disciplinary misconduct;
e) appropriate justification of the specific sanction of the disciplinary responsibility for the person or the impossibility of the sanction of the disciplinary responsibility.
3. In the conclusion in subparagraph "b" of the first paragraph of this article, the information obtained by the Ethics Commission and the relevant justification of the absence of disciplinary misconduct should be noted.

Article 19. Results of disciplinary proceedings

1. The conclusion of the ethics commission is sent to the person who committed the disciplinary offence and to the rector.
2. The rector makes one of the following decisions within seven working days after receiving the conclusion of the Ethics Commission:
a) regarding the ratio of the size of disciplinary responsibility for a person provided by the conclusion;
b) Regarding the return of the conclusion with substantiated remarks to the Ethics Commission.
3. The legal act provided for in subparagraph "a" or "b" of paragraph 2 of this article must be signed per the legislation's requirements.
4. According to paragraph 3 of this article, the legal act is appealed according to the procedure established by the legislation of Georgia.
5. If the existence of disciplinary misconduct is not confirmed as a result of the disciplinary proceedings, the rector terminates the disciplinary proceedings.

Article 20. Terms of disciplinary proceedings

1. The term of disciplinary proceedings should be at most one month.

2. If more than one month is necessary to establish the circumstances of essential importance for disciplinary misconduct, the rector decides to extend the period of disciplinary proceedings by no more than one month, ten working days before the expiration of the one month.

Article 21. The ratio of the measure of disciplinary responsibility

1. The measure of disciplinary responsibility should be proportionate to the disciplinary misconduct.
2. Regardless of the measure of disciplinary responsibility, the person is obliged to compensate the material damage caused to the branch due to disciplinary misconduct if this misconduct was committed intentionally or with gross negligence.

Article 22. Suspension and termination of disciplinary proceedings

1. Disciplinary proceedings shall be stopped if criminal proceedings and/or administrative offence proceedings have been initiated against the alleged perpetrator of the disciplinary offence for the same action.
2. The court's decision on the relevant criminal and/or administrative offence cases does not exclude the possibility of applying disciplinary liability due to disciplinary misconduct.
3. Disciplinary proceedings shall be terminated if there is no longer an objective basis for disciplinary proceedings, and the rector's order shall be issued regarding this.

Article 23. The validity period of disciplinary responsibility

An employee of the branch is considered to have disciplinary responsibility for one year from the date of disciplinary responsibility and a student - for the entire study period until the end of studies.

Chapter IV. Measures of student disciplinary responsibility for conduct inconsistent with the Code of Ethics

Article 24. Measures of student disciplinary responsibility for violation of the code of ethics

1. The branch is authorized to apply the following measures of disciplinary responsibility for a student's violation of the Code of Ethics:
a) written warning;
b) cancellation of the results achieved in the training course;
c) suspension or termination of the right to benefit from the financial benefit established by the branch;
d) Termination of student status.
2. Use of the measure of disciplinary responsibility provided for in subsection "a" of the first paragraph of this article is permissible in case of a light violation of the code of ethics.
3. In case of academic dishonesty, including confirmation of plagiarism or attempted plagiarism, the measure provided for in subparagraph b of the first paragraph of this article is applied and, considering the severity of the misconduct, together with the measure provided for in subparagraph b of the first paragraph of this article, The measure of disciplinary responsibility provided for in subsection "c" as well.
4. The measure of disciplinary responsibility provided for in subsection "d" of the first paragraph of this article is allowed only in case of severe violation of the norms of ethics established by this code.
5. Violation of ethical norms is considered severe if:
a) the reputation of the branch was damaged as a result of disciplinary misconduct;
b) significant material damage was caused to the branch as a result of disciplinary misconduct;
c) caused damage to another student or employee of the branch as a result of disciplinary misconduct;
d) the student with disciplinary responsibility has committed a new disciplinary offence.

Chapter V. Disciplinary Measures of Academic and Visiting Staff, Employee or other person appointed under the contract for violation of the code of ethics

Article 25. Disciplinary measures of academic and visiting staff, administration employees or other persons appointed on the basis of the contract for violation of the code of ethics

1. The branch is authorized to use the following measures of disciplinary responsibility for violations of the code of ethics by academic and visiting staff or other employees of the branch:

a) verbal warning;

b) written warning;

c) Dismissal.

2. The use of disciplinary measures provided for in subparagraphs "a" and "b" of the first paragraph of this article is permissible in case of a light violation of the code of ethics.

3. The measure of disciplinary responsibility provided for in subsection "c" of this article's first paragraph is applied if a person has violated the Code of Ethics severely.

4. Violation of ethical norms is considered severe if:

a) Disciplinary misconduct caused damage to the reputation of the person who committed the disciplinary misconduct, which precludes the proper performance of official duties by this person in the future;

b) the reputation of the branch was damaged as a result of disciplinary misconduct;

c) significant material damage was caused to the branch as a result of disciplinary misconduct;

d) a student or other employee of the branch was harmed as a result of disciplinary misconduct;

e) the person with disciplinary responsibility has committed a new disciplinary offence.

5. The rector has the right to remove the alleged perpetrator of disciplinary misconduct from the service during disciplinary proceedings.